დამტკიცებულია
შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიირ
რექტორის N2/192 ბრძანებით (07.11.2022)
ცვლილება: ბრძ.N2/15 (09.02.2023)
ცვლილება: ბრძ.N2/87 (01.07.2024)
ცვლილება: ბრძ. №2/82 (10.06.2025)

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია

შუალედური შეფასების, საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების და პარტნიორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის წესი

მუხლი 1. მიზანი

1. შუალედური შეფასების, საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების და პარტნიორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის წესი (შემდგომში წესი) განსაზღვრავს შუალედური შეფასების, საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების და პარტნიორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის დეტალებს და პირობებს.

მუხლი 2. შუალედური შეფასების წესი

1.შუალედური შეფასება წარმოადგენს პროგრამის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის და პროფესიული სტუდენტებისათვის განმავითარებელი უკუკავშირის მიცემის ერთ-ერთ მექანიზმს. დუალური სწავლების შემთხვევაში პარტნიორი სასწავლო საწარმოები მონაწილეობენ შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდების დაგეგმვასა და ჩატარებაში;
2.შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა სტუდენტისათვის სავალდებულოა;
3.შუალედური შეფასების შედეგები არ შეიძლება გამოყენებულ იქნას სწავლის შედეგების დადასტურებისათვის, კრედიტის მინიჭებისათვის, ან სტუდენტის სტატუსის განსაზღვრისათვის/შეცვლისათვის;
3.შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა წარმოადგენს პროფესიული სტუდენტისათვის საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობას;
4.შუალედური შეფასება ტარდება პროგრამის განხორციელების შუა ეტაპზე, როცა პროფესიულ სტუდენტს გავლილი აქვს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების არანაკლებ 40 და არაუმეტეს 60 პროცენტისა;
5.შუალედური შეფასების თარიღი და ფორმატი განისაზღვრება კონკრეტული ჯგუფისათვის რექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;
6.პროფესიული სტუდენტის ინფორმირება შუალედური შეფასების თარიღისა და ფორმატის შესახებ ხორციელდება ამ (მეილით,ერთიანი საკომუნიკაციო სისტემაში განთავსების) ფორმით რექტორის მიერ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა;
7. შუალედური შეფასება ტარდება პროგრამის განხორციელების შუა ეტაპზე და თემატიკა ეხება მხოლოდ შუალედური შეფასების ჩატარებამდე მიღწეულ სწავლის შედეგებს. შუალედური შეფასების წესსა და პირობებს განსაზღვრავს დაწესებულება. დუალური სწავლების შემთხვევაში, აღნიშნული წესი და პირობები განისაზღვრება სასწავლო საწარმოსთან თანამშრომლობით;
8.შუალედური შეფასება უნდა იძლეოდეს სტუდენტის მიერ მიღწეული კომპეტენციების ჰოლისტური შეფასების შესაძლებლობას;
9.პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, შუალედური შეფასებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას:

- თეორიული შეფასება;
- პრაქტიკული უნარების დემონსტრირება;
- პროექტის პრეზენტაცია;
- სიტუაციის განხილვა და ანალიზი;
- სხვა რელევანტური მეთოდები ან მათი კომბინაცია;

10.შუალედური შეფასების მიზნით გამოყენებული ინსტრუმენტი ექვემდებარება ვალიდაციას კოლეჯის მიერ დადგენილი წესით ან შუალედური შეფასების კომისიის ჩართულობით;
11.პროფესიული სტუდენტის მიერ შუალედური შეფასების დროს შექმნილი მტკიცებულება ინახება კოლეჯში სტუდენტისათვის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებამდე;
12.შუალედური შეფასების კომისიის შემადგენლობა, კომისიის თავმჯდომარე და მდივანი განისაზღვრება რექტორის ბრძანებით;

13.კომისია უნდა შედგებოდეს სულ მცირე სამი წევრისაგან, მასში უმეტესობას უნდა ქმნიდეს ის პირები, ვინც არ ღებულობდა მონაწილეობას შესაფასებელი სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში;
14.კომისიის წევრი უნდა იყოს დარგის წარმომადგენელი;
15.კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა;
16.კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა უმრავლესობით;
17.კომისიის თავმჯდომარის ან მდივნის არყოფნის შემთხვევაში, დანარჩენი წევრები ირჩევენ სხდომის თავმჯდომარეს და მდივანს;
18.ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა;
19.კომისიის კომპეტენციაა შუალედური შეფასების შედეგებზე დაყრდნობით დაწესებულებას მისცეს უკუკავშირი პროგრამის განხორციელების პროცესში წარმოჩენილ ძლიერ და სუსტ მხარეებთან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში გასცეს რეკომენდაციები;
20.რეკომენდაციების შემუშავების პროცესში უნდა ჩაერთოს კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი;
21.კომისიის შეფასება და რეკომენდაციები აისახება შესაბამის ოქმში;
22.შუალედური შეფასების შედეგების შესახებ სტუდენტებს მიეწოდება უკუკავშირ
23.შუალედური შეფასების შედეგები შესაძლოა საფუძვლად დაედოს პროგრამაში ცვლილებების ინიცირებას, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასებას, მატერიალური რესურსების შეფასებას, მარეგულირებელ აქტებში ცვლილებას ან საგანმანათლებლო სტანდარტებში ცვლილებების ინიცირებას, კოლეჯის კომპეტენციის ფარგლებში;
24.საპატიო მიზეზით შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის არმიღების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი ვალდებულია ამ მუხლით დადგენი პირობებითა და წესით მონაწილეობა მიიროს განმეორებით შუალედურ შეფასებაში;
25.არასაპატიო მიზეზით შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის არმიღება, ან განმეორებით შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის არმიღება, წარმოადგენს სტუდენტის საკვალიფიკაციო გამოცდაზე არ დაშვების წინაპირობას;
26.საპატიო მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს:

- ჯანმრთელობის ან ოჯახური მდგომარეობა, რაც მოკლებულია ძირითად ვადებში შეფასების პროცესში მონაწილეობას;
- ფორსმაჟორული გარემოება;

27.განმეორებითი შეფასების ვადები განისაზღვრება კოლეჯის რექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში წარდგინებით, ამ წესის ამ მუხლით დადგენილ ვადებში და წესით;
28.გარე მობილობის შემთხვევაში, სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს ოფიციალური დოკუმენტი შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის ფაქტის შესახებ.

მუხლი 3. საკვალიფიკაციო გამოცდის წესი

1.საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობაა პროგრამით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგის დადასტურება და შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა.

2. პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭების აუცილებელი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება, რომლის მიზანია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების პროფესიული მოვალეობებისა და ამოცანების შესრულების პროცესში კომპლექსურად გამოყენების უნარის შეფასება. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების ზოგად წესსა და პირობებს განსაზღვრავს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი;

3. საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება პროგრამის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა;

4. გარე მობილობის შემთხვევაში, სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს ოფიციალური დოკუმენტი შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის ფაქტის შესახებ.

5. საკვალიფიკაციო გამოცდის თარიღი და ფორმატი განისაზღვრება კონკრეტული ჯგუფისათვის რექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით პასუხისმგებელი პირის წარდგინებით არაუგვიანეს საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებამდე ერთი თვით ადრე;

6.პროფესიული სტუდენტის ინფორმირება საკვალიფიკაციო გამოცდის თარიღისა და ფორმატის შესახებ ხორციელდება ამ (მეილი, ან შეხვედრა და სხვა) ფორმით დირექტორის მიერ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა;

7. საკვალიფიკაციო გამოცდის თემატიკა არ უნდა გასცდეს სტუდენტის მიერ მიღწეულ სწავლის შედეგებს;

8. პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, საკვალიფიკაციო გამოცდის მიზნებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას:

- თეორიული გამოცდა;
- პრაქტიკული უნარების დემონსტრირება;
- პროექტის პრეზენტაცია;
- სიტუაციის განხილვა და ანალიზი;
- სხვა რელევანტური მეთოდები ან მათი კომბინაცია;

9. პროფესიული საკვალიფიკაციო გამოცდის მიზნით გამოყენებული ინსტრუმენტი ექვემდებარება ვალიდაციას საკვალიფიკაციო კომისიის ჩართულობით;

10. პროფესიული სტუდენტის მიერ საკვალიფიკაციო გამოცდის დროს შექმნილი მტკიცებულება ინახება კოლეჯში სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებიდან სამი წლის განმავლობაში;

11. საკვალიფიკაციო კომისიის შემადგენლობა, კომისიის თავმჯდომარე და მდივანი განისაზღვრება რექტორის ბრძანებით;

12. კომისია უნდა შედგებოდეს სულ მცირე სამი წევრისაგან, მასში უმეტესობას უნდა ქმნიდეს ის პირები, ვინც არ ღებულობდა მონაწილეობას შესაფასებელი სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში;

13. კომისიის წევრი უნდა იყოს დარგის წარმომადგენელი;

14. კომისიაში სავალდებულო წესით უნდა მონაწილეობდეს დარგის შესაბამისი სფეროს წარმომადგენელი, რომელიც არ არის კოლეჯის წარმომადგენელი;

15. კომისიის კომპეტენციაა საკვალიფიკაციო გამოცდის დადებითი შედეგების საფუძველზე შუამდგომლობით მიმართოს დირექტორს სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე;

16. კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა;

17. კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა უმრავლესობით;

18. კომისიის თავმჯდომარის ან მდივნის არყოფნის შემთხვევაში, დანარჩენი წევრები ირჩევენ სხდომის თავმჯდომარეს და მდივანს;

19. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა;

20. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება სხდომის ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი;

21. კომისიის წევრი უფლებამოსილია საკუთარი განსხვავებული პოზიცია, ასეთის არსებობის შემთხვევაში, წერილობით დაურთოს ოქმს;

22. კომისიის მუშაობის ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს კოლეჯის მიერ განსაზღვრული პირი/სამსახური;

23. საკვალიფიკაციო კომისიის გადაწყვეტილება პროფესიულ სტუდენტს ეცნობება გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს სამი სამუშაო დღისა ამ (მეილი, ან შეხვედრა და სხვა) ფორმით;

24. ინფორმაციის მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში სტუდენტს უფლება აქვს წერილობით გაასაჩივროს კომისიის გადაწყვეტილება;

25. საჩივრის განხილვას უზრუნველყოს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სააპელაციო კომისია;

26. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია განიხილოს სტუდენტის საჩივარი და მიიღოს ერთერთი გადაწყვეტილება:

ა) საკვალიფიკაციო კომისიის გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ;

ბ) საკითხის საკვალიფიკაციო კომისიისათვის განსახილველად დაბრუნების შესახებ;

27. კვლიფიკაციის მინიჭების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნას საჩივრის შემოტანიდან ერთი თვის ვადაში;

28. საკვალიფიკაციო გამოცდაზე არგამოცხადების ან საკვალიფიკაციო კომისიის უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში სტუდენტი უფლებამოსილია ამ მუხლით დადგენილი პირობებითა და წესით გავიდეს განმეორებით საკვალიფიკაციო გამოცდაზე;

მუხლი 4. პარტნიორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის წესი

1.პრაქტიკის ობიექტი - მეწარმე სუბიექტი/ იურიდიული პირი, ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსის/ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირი, რომელთანაც გაფორმებულია დოკუმენტი კოოპერაციული სწავლების მიზნით თანამშრომლობის შესახებ;

2.პრაქტიკის ობიექტის შერჩევისას დაწესებულებასთან ერთად პროგრამის კოოპერაციული სწავლების სახით განხორციელების მიზნით, პრაქტიკის ობიექტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) აცნობიერებდეს პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულობის მნიშვნელობას და საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის პასუხისმგებლობას და ჰქონდეს პროგრამის განხორციელებაში ჩართვის მოტივაცია;

ბ) მისი ადამიანური და მატერიალური რესურსი შესაბამისობაში უნდა იყოს პროგრამის მოთხოვნებსა და სწავლის შედეგებთან;

გ) საჭიროების შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზიას/ნებართვას ან სხვა სპეციალურ რეგულირებას დაქვემდებარებული საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, მოპოვებული ჰქონდეს ლიცენზია/ნებართვა ან სპეციალური რეგულირებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილება;

3.ამ მუხლის კრიტერიუმებთან შესაბამისობის დადგენასა და მონიტორინგს უზრუნველყოფს დაწესებულების სამართლებრივი უზრუნველყოფის მენეჯერი (შემდგომში პასუხისმგებელი პირი) ;

4.საჭიროების შემთხვევაში კოლეჯის პასუხისმგებელი პირის მიერ შესაძლებელია ინიცირებულ იქნას დამატებითი კრიტერიუმების გამოყენება;

5.იმის დასადასტურებლად, რომ პრაქტიკის ობიექტი აკმაყოფილებს მოთხოვნილ კრიტერიუმებს, გამოიყენება მასთან შეხვედრის ფორმატი/ინფორმაციის გაგზავნა ელექტრონული ფოსტის საშუალებით, სადაც პარტნიორს მიეწოდება ინფორმაცია კერძო სექტორის ჩართულობის მნიშვნელობნის შესახებ პროფესიულ განათლებაში, საკუთარი პასუხისმგელობის შესახებ პროგრამის განხორციელების პროცესში, ასევე მასთან გასაფორმებელი ხელშეკრულების/მემორანდუმის დეტალები, მათ შორის მოდულების/ მისაღწევი სწავლის შედეგების კონტექსტში;

6.აღნიშნულ კრიტერიუმთან პრაქტიკის ობიექტის შესაბამისობა დასტურდება გაფორმებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით;

7.კრიტერიუმთან შესაბამისობის მონიტორინგი (ანუ ხელშეკრულების/მემორანდუმის პირობების სათანადოდ შესრულება) ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთა შეფასებების და კმაყოფილების კვლევის შედეგების ანალიზის, ასევე პრაქტიკის კომპონენტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის უკუკავშირის საფუძველზე (სტუდენტთა კმაყოფილების კვლევაში უნდა იყოს კითხვები პრაქტიკის ობიექტის მიერ გაწეული მომსახურების შესახებ);

8.ამ კრიტერიუმებთან შესაბამისობის დადგენა შესაძლებელია განხორციელდეს ასევე პრაქტიკის ობიექტზე ვიზიტის გზით, რომლის დროსაც ხდება ობიექტის ინფრასტრუქტურის დათვალიერება და პროგრამის განხორციელებში ჩართულ პერსონალთან შეხვედრა მისაღწევი სწავლის შედეგების კონტექსტში, რაც დასტურდება გამართული შეხვედრის ამსახველი მტკიცებულებებით , მათ შორის გასაუბრების შედეგებით და გაფორმებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით;;

9.ამ კრიტერიუმებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით კოლეჯი უზრუნველყოფს შესაბამისი ლიცენზიის/ნებართვის ან სპეციალური რეგულირებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის გამოთხოვას პრაქტიკის ობიექტისგან ასეთის არსებობის შემთხვევაში;

10.გაფორმებული ხელშეკრულება/მემორანდუმი უნდა ითვალისწინებდეს პრაქტიკის ობიექტის ვალდებულებას ლიცენზიის/ნებართვის ან სპეციალური რეგულირებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილების შეჩერების ან ჩამორთმევის თაობაზე კოლეჯის ინფორმირების შესახებ გონივრულ ვადებში;

11.თანამშრომლობის შეთანხმების შესახებ ინფორმაციის რეესტრში განთავსებაზე პასუხისმგებელია რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი შეთანხმების გაფორმებიდან 5 დღის ვადაში;

12.პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულება უნდა მოიცავდეს შემდეგ აუცილებელ რეკვიზიტებს:

ა) სასწავლო საწარმოსა და დაწესებულების საიდენტიფიკაციო მონაცემებს;
ბ) პროგრამის სახელწოდებას (ქართულ და ინგლისურ ენებზე), რომლის ფარგლებშიც ხორციელდება თანამშრომლობა;
გ) სასწავლო საწარმოსა და პროგრამის განხორციელების ადგილის მისამართებს;
დ) პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების განაწილებას დაწესებულებასა და სასწავლო საწარმოს შორის;
ე) პროგრამაზე ერთობლივად მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობას;

ვ) პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემის აღწერას, მათ შორის, ინფორმაციას შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის შესახებ;
ზ) ინფორმაციას პროფესიული სტუდენტის ანაზღაურების ოდენობისა და წესის, ასევე სწავლის დაფინანსებისა და მისთვის მატერიალური და/ან სხვა სახის ფინანსური დახმარების გაწევის, წახალისების და სხვა ზომების განხორციელების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
თ) პროფესიული სტუდენტის სწავლის/სამუშაოს შესრულების პირობებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სასწავლო საწარმოში/დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტის გამოცხადების შესაძლებლობას და მის ჩართულობას აღნიშნულ პროცესებში, ასევე აღნიშნულ პროცესებში მისი ჩართულობის უზრუნველყოფის მექანიზმებს (გეოგრაფიული მდებარეობა, ტრანსპორტირება და სხვა);
ი)სასწავლო საწარმოს ვალდებულებებს პროფესიული სტუდენტის სასწავლო საწარმოში სწავლის/სამუშაოს შესრულების პერიოდში შრომის უსაფრთხოების წესების დაცვის უზრუნველყოფისა და უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნის შესახებ;
კ) ხელშეკრულების ვადას, რომელიც არ უნდა იყოს პროგრამის ხანგრძლივობაზე ნაკლები და ხელშეკრულების შეწყვეტის წესს;
ლ) სასწავლო საწარმოს/დაწესებულების სხვა უფლებებს, ვალდებულებებს, პასუხისმგებლობებსა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა საკითხებს;
12.1 დუალური სწავლებისას პროფესიულ სტუდენტსა და სასწავლო საწარმოს შორის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფორმდება ანაზღაურებადი სტაჟირების ან შრომითი ხელშეკრულება, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად, უნდა ითვალისწინებდეს პროფესიული სტუდენტის მიერ ამავე საწარმოში მისაღწევ სწავლის შედეგებთან დაკავშირებული სამუშაოს შესრულებას;
12.2 დუალური სწავლების სახით პროგრამის განხორციელებისას პროფესიული სტუდენტი აწარმოებს ჩანაწერების ჟურნალს, რომლის ფორმას ამტკიცებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი;
12.3 დაწესებულება და სასწავლო საწარმო პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლებით განხორციელებასა და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფენ ერთმანეთთან თანამშრომლობით.დაწესებულება და სასწავლო საწარმო ასევე უფლებამოსილი არინ, ამ მიზნით , ითანამშრომლონ პროფესიული უნარების სააგენტოსა და შესაბამის დარგობრივი უნარების ორგანიზაციასთან.
14. **პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმი უნდა მოიცავდეს შემდეგ აუცილებელ რეკვიზიტებს:**
ა) პრაქტიკის ობიექტისა და დაწესებულების საიდენტიფიკაციო მონაცემებს;
ბ) პროგრამის სახელწოდებას, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება თანამშრომლობა;
გ) პრაქტიკის ობიექტზე მისაღწევი, პროგრამით გათვალისწინებული მოდულების/სწავლის შედეგების ჩამონათვალს;
დ) პრაქტიკის ობიექტის მიერ ერთდოულად მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობას;
ე) პრაქტიკის ობიექტის ვალდებულებებს პროფესიული სტუდენტის პრაქტიკის ობიექტზე სწავლის/სამუშაოს შესრულების პერიოდში შრომის უსაფრთხოების წესების დაცვის უზრუნველყოფისა და უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნის შესახებ;
ვ) თანამშრომლობის ვადას, რომელიც არ უნდა იყოს პროგრამის ხანგრძლივობაზე ნაკლები და თანამშრომლობის შეწყვეტის პირობებს;
ზ) პრაქტიკის ობიექტის/დაწესებულების სხვა უფლებებს, ვალდებულებებს, პასუხისმგებლობებსა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა საკითხებს

15.მიზანშეწონილია პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი პრაქტიკის ობიექტზე პრაქტიკის კომპონენტის დაგეგმვის დროს ითვალისწინებდეს ხელშეკრულებაში/მემორანდუმში მითითებული ერთდროულად მისაღები სტუდენტების რაოდენობას;

მუხლი 5. გარდამავალი დებულებები

1. წინამდებარე წესის მე-2 მუხლით განსაზრვრული შუალედური შეფასებისა და მე-3 მუხლით გათვალისწინებული საკვალიფიკაციო გამოცდის სავალდებულოობა გავრცელდეს 2024 წლის მიღების ფარგლებში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებზე დუალური სწავლების სახით. ასევე იმ პროგრამებზე ჩარიცხულ პროფერსიულ სტუდენტებზე, რომელბიც ეფუძნება პროფესიულ საგანამნათლებლო სტანდარტს, რომელიც სააკვალიფიკაციო გამოცდას განსაზღვრავს კვალიფიკაციის მინიჭების ერთ-ერთ წინაპირობად, გარდა ინტეგრირებული პროფესიკული საგანმანათლებლო პროგრამებისა.
2. მუხლი 4-ით განსაზღვრული პირობები არ ვრცელდება 2022 წლის 9 აგვისტომდე გაფორმებულ თანამშრომლობის დოკუმენტებზე.